პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ მარტი 2021 წელი ქალაქი ბათუმი

„შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის №87 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. განთავსების უფლების გადაცემის მოქმედების ვადაა 31 (ოცდათერთმეტი) წელი და 6 (ექვსი) თვე.".

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსებისათვის ვადიანი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ვადის გახანგრძლივება 18 თვით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ელექტრონული აუქციონის ფორმით შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსებისათვის ვადიანი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემით შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს შემოსავლების ზრდა.

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებისა და მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 25 სექტემბრიდან 2020 წლის 19 ოქტომბრამდე, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 01 თებერვლამდე, აგრეთვე 2021 წლის თებერვლიდან შაბათ–კვირას (სულ დამატებით 6 დღე) პერიოდით შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მათ შორის ავტობუსების) ფუნქციონირება, რამაც გამოიწვია უფლების მიმღებისათვის მომსახურების გაუწევლობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

მუნიციპალური ტრანსპორტის დროებით შეჩერების გამო უფლების მიმღებმა (შპს „ალმა") ვერ მიიღო მომსახურება, რომლისთვისაც გადახდილი აქვს ელექტრონული აუქციონის შესაბამისად სრული თანხა. უფლების მიმღების მიმართვის საფუძველზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ წარმოადგინა N5001262621 დასკვნა, რომ მომსახურების გაუწევლობის ზიანი შეადგენს 156461 ლარს და 55 თვიანი პერიოდით უნდა იქნეს გაგრძელებული საიჯარო უფლების მოქმედების ვადა, რათა დაკომპენსირდეს დროის ის მონაკვეთი, როცა უფლების გამცემი (შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი") ვერ უწევდა საიჯარო მომსახურებას უფლების მიმღებს.

უფლების მიმღები (შპს „ალმა") მიუხედავად ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნისა, თანახმაა ხელშეკრულების ვადა გაგძელდეს 18 თვის ვადით ან კომპანიისათვის დაბრუნებული იქნას წინმსწრებად გადახდილი საიჯარო ქირა გაუწეველი მომსახურების პერიოდისთვის, რაც შეადგენს 156461 ლარს.

ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივებით პროექტი არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გაიზარდა შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს შემოსავლები, თუმცა იძულებითი მოცდენის დროს უფლების მიმღებისათვის მომსახურების გაუწევლობა ითვალისიწინებს ან თანხის დაბრუნებას (156461 ლარი) ან ვადის გაზრდას 18 თვით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი;

,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის №27 დადგენილება.

პროექტის შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

პროექტთან დაკავშირებით კონსულტაციები განვლილ იქნა შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს დირექტორთან (ლევან ლაზარიაშვილთან).

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

დირექტორი ლევან ლაზარიაშვილი

ALMA

11/03/2021 -311-03

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

როგორც მოგეხსენებათ, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტსა" (ს/კ 245445200) და შპს „ალმას" (ს/კ 204873388) შორის 2020 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული, „შპს „ბათუმის **ავტოტრანსპორტი"-ს ავტობუსებზე რეკლამის** განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი **უფლების** გადაცემის ხელშეკრულების" (შემდგომში - **ხელშეკრულება**) თანახმად, ჩვენს კომპანიას გადმოეცა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის" ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება ხელშეკრულების გაფორმებიდან (2020 წლის 27 აგვისტო) 30 წლის ვადით - 2050 წლის 27 აგვისტომდე.

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილებისა და მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 25 სექტემბრიდან 2020 წლის 19 ოქტომბრამდე, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 1 თებერვლამდე, აგრეთვე 2021 თებერვლიდან შაბათ-კვირას (დამატებით 6 დღის) პერიოდით შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მათ შორის ავტობუსების) ფუნქციონირება.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ალმა"-ს უფლების გადაცემის მთელი პერიოდისათვის წინასწარ, სრულად აქვს გადახდილი უფლების გადაცემის საფასური - 4 100 000 ლარი (მათ შორის იმ პერიოდებისათვის, როდესაც შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი" ვერ უწევდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას შპს „ალმა"-ს), სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებით, უფლების მიმღებისათვის (გაუწეველი მომსახურებისათვის) დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 156 461 ლარს (ექსპერტიზის დასკვნა #001440221). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ თანხის დაბრუნების ნაცვლად, მოხდება **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის გაგრძელება, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ხელშეკრულების (უფლების მოქმედების პერიოდი) გაგრძელებული უნდა იქნეს 55 თვის ვადით, ამჟამად მოქმედი უფლების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ (ექსპერტიზის დასკვნა #007588020).

მოგახსენებთ, რომ შპს „ალმა" თანახმაა, გაუწეველი მომსახურების პერიოდების კომპენსირების მიზნით, ხელშეკრულების (უფლების) მოქმედების ვადა გაგრძელებული იქნეს 18 თვის ვადით (მიუხედავად სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი 55 თვიანი პერიოდისა) ან

Advertising Company ALMA
46/50 Kostava str. Tbilisi 0179, Georgia
Phone: (+995 32) 2 225 225
info@alma.ge | www.alma.ge

კომპანიისათვის დაბრუნებულ იქნეს წინმსწრებად გადახდილი საიჯარო ქირა გაუწეველი მომსახურების პერიოდებისათვის, რაც შეადგენს 156 461 ლარს (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების შესაბამისად).

აქვე წარმოგიდგენთ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამის დასკვნებს.

დანართი - 9 ფ.

გიორგი ტრაპაიძე

დირექტორი

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5001262621
04/03/2021

5001262621

შპს „ალმა"-ს დირექტორს ბატონ გიორგი ტრაპაიძეს

(ქ. თბილისი კოსტავას ქ. #46/50)

ბატონო გიორგი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N19-02ა მომართვის (ბიუროს 2021 წლის 19 თებერვლის რეგისტრაციის N1001226921) საფუძველზე, გიგზავნით ექსპერტიზის N001440221 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 02 ფურცლად;

პატივისცემით,

[illegible]ერად გამყოფლიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

ს 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ი 4600, ქ. ჭავჭავაძის 2ა
ა ბულაძიშვილის ქ. N102

84 Chavchavadze ave., Tbilisi
2A I. Chavchavadze str., Kutaisi
102 B. Mebiekhuli str., Ba

5001262621

ელექტროსული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ.
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____
თარიღი 04.03.2021 (ხელმოწერა) ბ.ა

001440221

ექსპერტის დასკვნა № 001440221

გაფრთხილება

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმეორებითი ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: ფინანსური ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ალმა

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: ქ. თბილისი კოსტავას ქ. #46/50

სახელი და გვარი: გიორგი ტრაპაიძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

თამარ კირკიტაძე / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის ფინანსური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი. სპეციალობით: მუშაობის 10 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მისედვით გაცემული ბიზნესის შემფასებლის შესაბამისობის სერტიფიკატი B-0051

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, დაგვიდასტუროთ, რომ! (უფლების გადაცემის პირველი წლის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან) გაუწეველი მომსახურებისათვის, უფლების გამცემის მიერ უფლების მიმღებისათვის დასაბრუნებული თანხა შეადგენს 158 108 ლარს.

შემოსვლის თარიღი: 19/02/2021 წ

გასვლის თარიღი: 04/03/2021 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე დამკვეთის მიერ წარმოდგენილი მასალების/ინფორმაციის მიხედვით, შპს „ალმასა" და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს" შორის გაფორმებული სელშეკრულების შესაბამისად, უფლების გადაცემის პირველი წლის განმავლობაში გაუწეველი მომსახურების თანხა შეადგენს 156 461 ლარს.

თამარ კირკიტაძე

გამოკვლევა

ექსპერტი გაეცნო ექსპერტიზაზე წარმოდგენილ მასალებს/ინფორმაციას და დადგენილია შემდეგი:

001440221

ექსპერტის დასკვნა № 001440221

წარმოდგენილი დოკუმენტის/ინფორმაციის მიხედვით, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტსა“ (ს/კ 245445200) და შპს „ალმა“-ს (ს/კ 204873388) შორის 2020 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემის ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) თანახმად, შპს „ალმა“-ს გადაეცა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება ხელშეკრულების გაფორმებიდან (2020 წლის 27 აგვისტო) 30 წლის პერიოდით - 2050 წლის 27 აგვისტომდე.

„ინოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილების და მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 25 სექტემბრიდან 2020 წლის 19 ოქტომბრამდე, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 1 თებერვლამდე, აგრეთვე 2021 თებერვლიდან შაბათ-კვირას (სულ დამატებით 6 დღის) პერიოდით შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მათ შორის ავტობუსების) ფუნქციონირება.

შპს „ალმა“-ს უფლების გადაცემის მიღები პერიოდისთვის წინასწარ, სრულად აქვს გადახდილი უფლების გადაცემის საფასური - 4100000 ლარი (მათ შორის იმ პერიოდებისათვის, როდესაც შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ ვერ უწევდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებას შპს „ალმა“-ს).

ამასთან ერთად, წარმოდგენილია: უფლების გადაცემის საფასურის - 4100000 ლარის 30 წელზე გადანაწილების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულის თანახმად, პირველი წლისათვის განსაზღვრული თანხა შეადგენს 601 139,01 ლარს.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შეჩერებული პერიოდების მიხედვით, დღეების რაოდენობა შეადგენს 95-ს.

ექსპერტიზაზე დაშვებთის მიერ წარმოდგენილი მასალების/ინფორმაციის მიხედვით, შპს „ალმასა“ და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, უფლების გადაცემის პირველი წლის განმავლობაში გაუწეველი მომსახურების თანხა შეადგენს 156 461 ლარს.

თამარ კირკიტაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადააბეჭდა: მოთა ივანაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადააბეჭდა: დავით აბაშიკელი

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

იურიდიული სუბიექტი საჯარო სამართლის სამართლებრივი ფორმით
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5007442920
15/12/2020

5007442920

მპს ალმა -ს დირექტორს ბატონ გიორგი ტრაპაიძეს

(ქ. თბილისი კოსტავას ქ. #46/50)

ბატონო გიორგი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N07-12-ა მომართვის (ბიურო 2020 წლის 7 დეკემბრის რეგისტრაციის N1007998220) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N5007588020 დასკვნას.

ერთვის:
ექსპერტის დასკვნა 03 ფურცლად;

პატივისცემით,

ირაკლი გამყრელიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

ტელ: 0162, ფავლავაძის ბაღი N84
ფაქსი: 46000, ქ. ჩავჩავაძის 2ა
0160, ქ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484

84 Chavchavadze ave., Telavi
2A L.Chavchavadze str.
102 P. Melikishvili str.
(995 32) 2258484

5007442920

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ.
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 15.12.2022 (ხელმოწერა) ბ.ა

007588020

ექსპერტის დასკვნა № 007588020

გაფრთხილება

[illegible]ბლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც [illegible]ეწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო [illegible] 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის [illegible]სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე [illegible]ესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

[illegible]ტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

[illegible]ბრძანება:

[illegible]ბაცია: შპს ალმა

[illegible]ობა: დირექტორი

[illegible]ი: ქ. თბილისი კოსტავას ქ. #46/50

[illegible] და გვარი: გიორგი ტრაპაიძე

[illegible]ლი: მომართვა

[illegible]ულებელი ექსპერტები:

[illegible]აშუკელი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი, [illegible]ებით მუშაობის 15 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 [illegible]ტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი №P-0132 და №A-0123

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

[illegible]ულმის ავტოტრანსპორტსა: (ს.კ. 25445200) და შპს „ალმა"-ს (ს.კ. 204873388) შორის 2020 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული, შპს [illegible]ის ავტოტრანსპორტი"-ს ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემის [illegible]ულების" (მოძდგომი-ხელშეკრულება) თანახმად, ჩვენს კომპანიას გადმოეცა) შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს [illegible]ებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება ხელშეკრულების გაფორმებიდან (2020 წლის 27 აგვისტო) 30 წლის [illegible]ით - 2050 წლის 27 აგვისტომდე.

[illegible]ციია და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილების [illegible]ვრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის მუნიციპალიტეტის [illegible]ორიაზე 2020 წლის 25 სექტემბრიდან 2020 წლის 19 ოქტომბრამდე, აგრეთვე 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 24 [illegible]ამდე და 2021 წლის 3 იანვრიდან 2021 წლის 16 იანვრამდე პერიოდით შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მათ [illegible]ტობუსების) ფუნქციონირება.

[illegible], გამოიანგარიშოთ რა პერიოდით უნდა იქნეს გაგრძელებული რეკლამის განთავსების უფლების მოქმედების პერიოდი [illegible]რულებით გათვალისწინებული უფლების გადაცემის ამჟამად მოქმედი ვადის ამოწურვის შემდეგ (2050 წლის 27 აგვისტოს [illegible]. რათა კომპენსირებული იქნეს დროის ის მონაკვეთი (2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 14 დეკემბრამდე). როდესაც შპს [illegible]ის ავტოტრანსპორტი" ვერ უწევდა/უწევს საიჯარო მომსახურებას შპს „ალმა"-ს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების [illegible]ოხვდა გათვალისწინოთ, რომ საიჯარო მომსახურეობის ღირებულების (წინასწარი, სრული) ანაზღაურების მიზნით, ჩვენს [illegible]ელშეკრულების საფუძველზე გადახდილი იქნა 4 100 000 ლარი.

[illegible]ლის თარიღი: 07/12/2020 წ

გასვლის თარიღი: 15/12/2020 წ

დასკვნა

[illegible]ტიზით დადგინდა, რომ 55 თვიანი პერიოდით უნდა იქნეს გაგრძელებული საიჯარო (უფლების მოქმედების) პერიოდი [illegible]შეკრულებით გათვალისწინებული უფლების გადაცემის ამჟამად მოქმედი ვადის ამოწურვის შემდეგ (2050 წლის 27 [illegible]ოს შემდეგ), რათა კომპენსირებულ იქნეს დროის ის მონაკვეთი (2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 14 დეკემბრამდე).

007588020

ექსპერტის დასკვნა № 0075880

როდესაც შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი" ვერ უწევდა საიჯარო მომსახურებას შპს „ალმა"-ს საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მათ შორის ავტობუსების) მოძრაობის შეჩერების გამო.

დავით ამაშუკელი

გამოკვლევა

ექსპერტის მიერ დასადგენია დამკვეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით რა პერიოდით უნდა იქნეს გაგრძელებული საიჯარო (უფლების მოქმედების) პერიოდი **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული უფლების გადაცემის ამჟამად მოქმედი ვადის ამოწურვის შემდეგ (2050 წლის 27 აგვისტოს შემდეგ), რათა კომპენსირებულ იქნეს დროის ის მონაკვეთი (2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 14 დეკემბრამდე), როდესაც შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი" ვერ უწევდა საიჯარო მომსახურებას შპს „ალმა"-ს საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მათ შორის ავტობუსების) მოძრაობის შეჩერების გამო.

ექსპერტს ასევე მიეწოდა ინფორმაცია, რომ საიჯარო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების მიზნით შპს „ალმა"-ს მიერ საიჯარო მომსახურეობის ღირებულების (წინასწარი, სრული) ანაზღაურების მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი იქნა 4 100 000 ლარი. თუ აღნიშნული თანხას გავყოფთ ხელშეკრულებით დაიჯმული დროის პერიოდზე მივიღებთ რომ შპს „ალმა"-ს მიერ ხელშეკრულებით გადახდილი ყოველთვიური თანხის ოდენობა შეადგენს 11388,88 ლარს.

როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილია გაჩერებული დროის მონაკვეთი შეადგენს დაახლოებით ნახევარ თვეს, შპს „ალმა"-ს მიერ ხელშეკრულებით გადახდილი ყოველთვიური თანხის ოდენობა შეადგენს 11 388.88 ლარს. ხელშეკრულების მთლიანი ვადა შეადგენს 30 წელს. კოეფიციენტის ოდენობა შეადგენს 17%.

ჩვენს წინაშე დასმული საკითხის გადაჭრის მიზნით ექსპერტის მიერ მოხდა შემდეგი ფორმულის გამოყენება, რა დროსაც დადგინდა დღევანდელი ფულის მომავალი ღირებულება:

$FV = PV *(1 + I)^n$

FV = მომავალი ღირებულება

PV = დღევანდელი ღირებულება

I = კოეფიციენტი

n = დროის პერიოდი

მიღებული ღირებულება გაიყო ყოველთვიურად გადახდელი თანხის ოდენობაზე და დადგინდა, რა პერიოდით უნდა იქნეს გაგრძელებული საიჯარო (უფლების მოქმედების) პერიოდი **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული უფლების გადაცემის ამჟამად მოქმედი ვადის ამოწურვის შემდეგ (2050 წლის 27 აგვისტოს შემდეგ), რათა კომპენსირებულ იქნეს დროის ის მონაკვეთი (2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 14 დეკემბრამდე), როდესაც შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი" ვერ უწევდა საიჯარო მომსახურებას შპს „ალმა"-ს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერების გამო. და აღნიშნულმა პერიოდმა შეადგინა 55 თვე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ 55 თვიანი პერიოდით უნდა იქნეს გაგრძელებული საიჯარო (უფლების მოქმედების) პერიოდი **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული უფლების გადაცემის ამჟამად მოქმედი ვადის ამოწურვის შემდეგ (2050 წლის 27 აგვისტოს შემდეგ), რათა კომპენსირებულ იქნეს დროის ის მონაკვეთი (2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 14 დეკემბრამდე), როდესაც შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი" ვერ უწევდა საიჯარო მომსახურებას შპს „ალმა"-ს საზოგადოებრივი ტრანსპორტს (მათ შორის ავტობუსების) მოძრაობის შეჩერების გამო.

დავით ამაშუკელი

007588020

ექსპერტის დასკვნა № 007588020

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი